საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

დავით აღმაშენებლის გამზირი **N80**
0102 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

12 დეკ 2024 წ.

KA000018779071124

№ **2024/7208**

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ ანრი ოხანაშვილს

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მსჯავრდებულ [redacted] პენიტენციური დაწესებულებიდან მის ან მისი ახლო ნათესავის საცხოვრებელ ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე, შესაბამისი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ანრი,

სახალხო დამცველის რწმუნებული 2024 წლის 19 აგვისტოს, 26 სექტემბერსა და 24 ოქტომბერს, [redacted] პენიტენციურ დაწესებულებაში, შეხვდა და ესაუბრა არასრულწლოვან მსჯავრდებულს, [redacted]

[redacted] გადმოცემით, განთავსებული იყო [redacted] პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც განიცდიდა უჭაერობას, ვერ ძლებდა საკანში და ითხოვდა [redacted] დაწესებულებაში გადაყვანას. აღნიშნული მიზნით, 2024 წლის 14 აგვისტოს გადაყლაპა საკვნეტელა, რის შემდეგაც, კლინიკა „ვივამედში“ ჩაუტარდა ქირურგიული ჩარევა და გადაიყვანეს [redacted] პენიტენციურ დაწესებულებაში.

[redacted] განმარტებით, [redacted] პენიტენციურ დაწესებულებაშიც განიცდის უჭაერობას, რაც გაუსაძლისია მისთვის. ამასთან, ჰყავს დედა, რომელიც ცხოვრობს ქ. თბილისში და მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე, ვერ შეძლებს მასთან პაემანზე ვიზიტს.

სახალხო დამცველის რწმუნებული, ასევე, ესაუბრა არასრულწლოვანი მსჯავრდებულის დედას, [redacted] რომელმაც აღნიშნა, რომ ცხოვრობს ქ. თბილისში ქირით, რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველ ოჯახთა ერთიან ბაზაში, შესაბამისად, არ გააჩნია [redacted] ჩასვლის და შვილის მონახულების მატერიალური შესაძლებლობა.

ფაქტობრივი გარემოებები

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა არასრულწლოვანი [redacted] ან მისი ახლო ნათესავების საცხოვრებელ ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დეპარტამენტს ორჯერ მიმართა.[1] ამასთან, აპარატმა პენიტენციური დეპარტამენტიდან გამოითხოვა ინფორმაცია, არასრულწლოვანი მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილიდან შორს მდებარე დაწესებულებაში გადაყვანის საფუძვლისა[2] და იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან - [redacted] პენიტენციურ დაწესებულებაში, [redacted]

პენიტენციური დეპარტამენტის პასუხის თანახმად, [redacted] პენიტენციური დაწესებულებიდან [redacted] პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანილი იქნა სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 14 აგვისტოს N205 ბრძანებით, „პენიტენციური კოდექსის“ 52-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, **უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე** და მოცემულ ეტაპზე, მისი გადაყვანა სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში არ იგეგმებოდა.[4] [redacted] პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანის ფაქტობრივ საფუძველთან (უძღოდა თუ არა ხიხ რაიძე სახის ინციდენტი) დაკავშირებით, პენიტენციური დეპარტამენტის მიერ აპარატს ეცნობა, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში მომხდარი ინციდენტის შესახებ შეტყობინება გადაიგზავნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში.[5]

იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის პასუხის მიხედვით, 2024 წლის 14 აგვისტოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის აღმოსავლეთის საგამოძიებო სამმართველოში, [redacted] **პენიტენციური დაწესებულებიდან მიღებული შეტყობინების საფუძველზე, რომლის თანახმად, 2024 წლის 13 აგვისტოს, დაახლოებით, 22:20 საათზე, არასრულწლოვანმა მსჯავრდებულმა,** [redacted] **გადაყლაპა ფრჩხილების მკვნეტარა**, დაიწყო „წინასაგამოძიებო საქმე“ ამ უკანასკნელის ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე. აღნიშნული „წინასაგამოძიებო საქმის“ ფარგლებში, 2024 წლის 15 აგვისტოს [redacted] პენიტენციურ დაწესებულებაში გამომძიებელი შეხვდა და გაესაუბრა მსჯავრდებულ [redacted] რომელმაც დაადასტურა შეტყობინებაში მითითებული ფაქტი და მიუთითა, რომ 2024 წლის 13 აგვისტოს იგი მოთავსებული იყო [redacted] პენიტენციური დაწესებულების [redacted] საკანში. აღელვებულ მდგომარეობაში მყოფმა, დაახლოებით, 22:20 საათზე, ვინაიდან, მიუხედავად მისი არაერთგზის მოთხოვნისა, იგი არ იქნა გადაყვანილი [redacted] პენიტენციურ დაწესებულებაში [redacted] გადაყლაპა ფრჩხილების მკვნეტარა. ხოლო 2024 წლის 14 აგვისტოს, ხაცვლად [redacted] დახესებულებისა, გადაყვანილ იქნა [redacted] პენიტენციურ დაწესებულებაში.[6]

საგულისხმოა, რომ [redacted] პირად საქმეში არსებული მონაცემების თანახმად, არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რეგისტრაციის მისამართია: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი [redacted] ხოლო, ფაქტობრივი საცხოვრებელი - ქ. თბილისი, [redacted] ამასთან, **ოჯახი იმყოფება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში** (2024 წლის 6 ნოემბრის ამონაწერი, შეფასების ქულა: [redacted].

სახალხო დამცველის რწმუნებული ტელეფონით განმეორებით ესაუბრა [redacted] დედას, რომელმაც აღნიშნა, რომ მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე, ვერ ახერხებს [redacted] პენიტენციურ დაწესებულებაში არასრულწლოვანი შვილის მონახულებას. ხსენებულ დაწესებულებაში მისი შვილის გადაყვანის შემდეგ, მხოლოდ ერთხელ შეძლო ხანგრძლივ პაემანზე მასთან ვიზიტი.[7]

სამართლებრივი დასაბუთება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კომიტეტი მკაფიოდ მოუწოდებს სახელმწიფოებს, რომ თავისუფლებააღკვეთილ ყველა ბავშვს აქვს უფლება, შეინარჩუნოს კონტაქტი ოჯახთან კორესპონდენციის და ვიზიტების მეშვეობით. **ვიზიტების ხელშეწყობის მიზნით, საჭიროა ბავშვის მოთავსება იმ დაწესებულებაში, რომელიც ყველაზე ახლოს მდებარეობს ოჯახის საცხოვრებელთან. შემზღუდველი გარემოებები მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული კანონში - ის არ უნდა იყოს კომპეტენტური ორგანოების გადასაწყვეტი.**[8]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პატიმრის შესაძლებლობას, მჭიდრო კონტაქტი ჰქონდეს ოჯახის წევრებთან, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროდ განიხილავს.

სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია არ ადგენს პატიმრის უფლებას, თვითონ აირჩიოს პენიტენციური დაწესებულება, **თუ პატიმარი მოთავსებული იქნება სახლიდან ისე შორს, რომ ოჯახის წევრების მხრიდან ვიზიტების განხორციელება მნიშვნელოვნად დაბრკოლდება, ან შეუძლებელი გახდება, ეს შესაძლოა გახდეს ოჯახური ცხოვრების უფლების დარღვევის საფუძველი.**[9] ამასთან, სასამართლოს შეფასებით, მსჯავრდებულის სოციალური კავშირების დაკარგვა (პაემანი, სატელეფონო ზარი, მიმოწერა), სხვა ფაქტორებთან ერთად, იწვევს გათავისუფლების შემდეგ დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკს.[10]

მართალია, კონვენციის მე-8 მუხლი არ მიეკუთვნება აბსოლუტური ხასიათის უფლებათა ჩამონათვალს და მასში ჩარევა შესაძლებელია ტრადიციული ტესტის[11] დაკმაყოფილების შემთხვევაში, თუმცა ევროპული სასამართლო დარღვევის არსებობას ადგენს იმ კითხვაზე პასუხის გაცემით, მიღწეული იქნა თუ არა სამართლიანი ბალანსი ლეგიტიმურ მიზანსა და ინდივიდის უფლების შეზღუდვას შორის. მოცემულ შემთხვევაში კი, არასრულწლოვანი მსჯავრდებულის 4 თვის განმავლობაში ოჯახის საცხოვრებელი ადგილიდან ტერიტორიულად შორს მდებარე დაწესებულებაში განთავსება, რაც, ფაქტობრივად, იწვევს ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის უფლების შეზღუდვას, შესაძლოა ვერ ჩაითვალოს სამართლიან ბალანსად და კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევას წარმოადგენდეს.

აღსანიშნავია, რომ ევროპულმა სასამართლომ ინდივიდუალური გარემოებების შეფასების შედეგად არაერთ საქმეში დაადგინა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, როდესაც მსჯავრდებული განთავსებული იყო საცხოვრებელი ადგილიდან ტერიტორიულად შორს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში და ამ მიზეზით, სრულყოფილად ვერ იყენებდა ოჯახის წევრებთან პაემნის უფლებას.[12] სასამართლოს შეფასებით, **ოჯახური ცხოვრება პატიმრის უფლებების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს**

ევროპული ციხის წესების შესაბამისად, პატიმრების განთავსება უნდა მოხდეს შეძლებისდაგვარად ახლოს მათ სახლებთან ან სოციალური რეაბილიტაციის ადგილებთან.[14] ამასთან, ოჯახთან კომუნიკაცია უმეტეს შემთხვევაში გადამწყვეტი ფაქტორია მსჯავრდებულის რესოციალიზაციისთვის. რესოციალიზაცია კი, თავის მხრივ, სასჯელის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს.[15]

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ" ცალსახად განსაზღვრავს, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პატიმარსა და მის ოჯახს შორის კავშირების შენარჩუნებას და განმტკიცებას, რაც ემსახურება ორივე მხარის ინტერესებს.[16] ამავე დოკუმენტის თანახმად, პატიმრები მოთავსებული უნდა იყვნენ, თუ ეს შესაძლებელია, მათ სახლსა თუ სოციალური რეაბილიტაციის ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში.[17]

ამასთან, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი გასაზღვრავს, რომ არასრულწლოვანი მსჯავრდებული, რომელსაც თავისუფლების აღკვეთა დაენიშნა, თავსდება არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში.[18] კოდექსი, ასევე, ადგენს, რომ **არასრულწლოვან მსჯავრდებულს აქვს ოჯახთან და გარე სამყაროსთან ხშირი და რეგულარული კონტაქტის უფლება. კერძოდ, მას უფლება აქვს: ა) ჰქონდეს თვეში 4 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 2 დამატებითი ხანმოკლე პაემანი; ბ) ჰქონდეს წელიწადში 4 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 6 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი.[19]**

წინამდებარე საქმის ანალიზი

სახალხო დამცველის აპარატი სრულიად იზიარებს პენიტენციურ დაწესებულებებში უსაფრთხოების დაცვის საკითხის მნიშვნელობას, თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით კი, არასრულწლოვანი მსჯავრდებულების ოჯახის წევრებთან პაემნის უფლებით დაუბრკოლებლად სარგებლობა და ამ საკითხებს შორის გონივრული ბალანსის დაცვა.

მიმაჩნია, რომ ბავშვების პატიმრობაში მოთავსებისას, ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო საკითხი მათი ოჯახებიდან ჩამოშორების კომპონენტია. უმეტეს შემთხვევაში, ოჯახი არის ბავშვზე ზრუნვისა და მისი მხარდაჭერის ძირითადი წყარო. აუცილებელია, რომ როდესაც თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდის გამო ბავშვი ისედაც ჩამოშორებულია ოჯახს, მას ჰქონდეს მაქსიმალური შესაძლებლობა, საპატიმრო დაწესებულებიდან შეინარჩუნოს ოჯახის წევრებთან მჭიდრო კავშირი.

აღნიშნული უფლების განხორციელება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ოჯახი იმყოფება სოციალურად დაუცველ ოჯახთა ბაზაში, რის გამოც, დედას არ გააჩნია მატერიალური შესაძლებლობა, შვილთან განახორციელოს რეგულარული ვიზიტები შორს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში, რაც კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის რესოციალიზაციისთვის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულ გარემოებებთან ერთად, საგულისხმოა, რომ კანონმდებლობა არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის სხვა დაწესებულებაში გადაყვანას მისი ან სხვა მსჯავრდებულის უსაფრთხოების საფუძვლით, უშვებს **დროებით**.[20] მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა არასრულწლოვნის სხვა დაწესებულებაში დროებით გადაყვანის კონკრეტულ ვადებს არ აწესებს, მიმაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, [redacted] სხვა დაწესებულებაში გადაყვანის ხანგრძლივობა შესაძლოა სცდებოდეს გონივრულ ვადას, ვინაიდან იგი [redacted] პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულია უკვე 4 თვის განმავლობაში, რაც მას ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის ფაქტობრივ შესაძლებლობას უზღუდავს.

ცალკე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შესწავლილი დოკუმენტების ანალიზის თანახმად, (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი უწყებებიდან მიღებული პასუხები), მაღალი ალბათობით შეიძლება ითქვას, რომ [redacted] პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსება პირდაპირ კავშირშია მის მიერ საკვნეტელას გადაყლაპვასთან, რაც, თავის მხრივ, იყო პროტესტის გამოხატვის ფორმა და აღნიშნულს, მისი ან სხვა პირის უსაფრთხოების დაცვასთან შემხებლობა არ აქვს. ასეთ შემთხვევაშიც, შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით, [redacted] პენიტენციური დაწესებულების მსგავსად, [redacted] პენიტენციური დაწესებულებაც წარმოადგენს პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას, სადაც მოქმედებს მსგავსი სარეჟიმო და სხვა პირობები. ამასთან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არცერთი შესაბამისი უწყებიდან მიგვიღია რაიმე სახის ინფორმაცია, [redacted] კონკრეტულ ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან კონფლიქტის შესახებ და [redacted] დაწესებულებაში მის მიმართ განსაკუთრებული უსაფრთხოების ზომების აუცილებლობაზე. გარდა იმისა, რომ [redacted] დაწესებულების მსგავსად [redacted] დაწესებულებაც არის დახურული ტიპის დაწესებულება, [redacted] დაწესებულებაშიც, კანონმდებლობით, შესაძლებელია განისაზღვროს საკნის ტიპის საცხოვრებელი, რომელშიც განთავსებული პირის საკნის გარეთ გადაადგილება ხორციელდება მხოლოდ დაწესებულების უფლებამოსილი პირის (სამართლებრივი რეჟიმის და უსაფრთხოების განყოფილების მოსამსახურე) თანდასწრებით.[21]

ამრიგად, [redacted] მოთხოვნა, ოჯახის წევრების საცხოვრებელ ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე შესაბამის დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე, უნდა გამორიცხავდეს მსჯავრდებულის კანონიერი უფლების უსაფრთხოების მოტივით შეზღუდვის ლეგიტიმურ შესაძლებლობას, ვინაიდან, [redacted] დაწესებულებაში საკნის ტიპის საცხოვრებელში გადაყვანილი მსჯავრდებული სარგებლობს ყველა უფლებით, გარდა დღის განმავლობაში თავისუფლად გადაადგილების უფლებისა.[22] ასევე, როგორც უკვე აღინიშნა, [redacted] პენიტენციური დაწესებულების მსგავსად, [redacted] პენიტენციურ დაწესებულებაში უზრუნველყოფილია პატიმართათვის განთავსებისა და

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოგმართავთ რეკომენდაციით: (1) მსჯავრდებულის ან მისი ახლო ნათესავის საცხოვრებელ ადგილთან ახლოს სასჯელის მოხდის პრინციპის დაცვით, სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით, [redacted] პენიტენციური დაწესებულებიდან, ყველა სათანადო გარემოების შეფასების შედეგად, განისაზღვროს არასრულწლოვანი [redacted] დაწესებულებაში ან [redacted] პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანის მიზანშეწონილობის საკითხი; (2) გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გარდა ოჯახთან ახლოს მდებარე დაწესებულებაში გადაყვანის ინტერესისა და უსაფრთხოების მიზნის უზრუნველყოფისა, გთხოვთ, მხედველობაში მიიღოთ ისიც, რომ არ მოხდეს მსჯავრდებულის აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე ისეთ დაწესებულებაში მოთავსება, სადაც იგი სრულად იქნება იზოლირებული სხვა არასრულწლოვნებისგან ხანგრძლივი ვადით.

გთხოვთ, მოცემული რეკომენდაციის განხილვის შედეგები „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში აცნობოთ სახალხო დამცველს.

---

[1] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 21 აგვისტოს N3969 და 8 ოქტომბრის N2024/5244 წერილები.

[2] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 9 სექტემბრის N2024/4336 წერილი.

[3] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 8 ოქტომბრის N5268 წერილი.

[4] სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის 2024 წლის 27 აგვისტოს N252157/01 წერილი.

[5] სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის 2024 წლის 19 სექტემბრის N275403/01 წერილი.

[6] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2024 წლის 18 ოქტომბრის N11963 წერილი.

[7] სატელეფონო საუბარი შედგა 2024 წლის 6 ნოემბერს.

[8] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10, მუხლი N87.

[9] იხ. ვინტმანი უკრაინის წინააღმდეგ, N28403/05, პარ. 78.

[10] იხ. დანილევიჩი რუსეთის წინააღმდეგ, N31469/08, 28.02.2022, პარ. 62.

[11] გათვალისწინებული იყოს კანონით, ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს, აუცილებელი იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში.

[12] იხ. ხოდორკოვსკი და ლებედევი რუსეთის წინააღმდეგ, 11082/06, 13772/05, 25.07.2013, ასევე, დანილევიჩი რუსეთის წინააღმდეგ, N31469/08, 28.02.2022.

[13] მესინა იტალიის წინააღმდეგ, პარ. N61, 25498/94, 28.12.2000.

[14] ევროპული ციხის წესები, პუნქტ. 17.1.

[15] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 39, ნაწ. 1.

[16] გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები), წესი N106.

[17] იქვე, წესი 59.

[18] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 79-ე მუხლის პირველი ნაწილი.

[19] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 87-ე მუხლის პირველი ნაწილი.

[20] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 89-ე მუხლის პირველი ნაწილი.

[21] საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N118 ბრძანებით დამტკიცებული [redacted] პენიტენციური დაწესებულების დებულების მე-15 მუხლის მე-4 პუნქტი.

[22] საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N118 ბრძანებით დამტკიცებული [redacted] პენიტენციური დაწესებულების დებულების მე-80 მუხლის მე-3 პუნქტი.

[23] საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N117 ბრძანებით დამტკიცებული [redacted] პენიტენციური დაწესებულების დებულების მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ბრალდებულები და მსჯავრდებულები განთავსებულები არიან სპეციალურ საკნებში, სადაც მათი ან სხვა პირების უსაფრთხოების

განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი.

პატივისცემით,

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი